



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 036/14<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*ანა კიკნაძე (სტუდენტი)*

### ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება დაიდო სამოქალაქო დავაზე. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა სარჩელი აღძრა სასამართლოში, თუმცა სასამართლომ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში სარჩელის ფასის განსაზღვრისთვის აუცილებელი აუდიტის დასკვნის არარსებობის გამო. აღნიშნულის შესახებ მან ადვოკატისგან მიიღო ინფორმაცია, აგრეთვე, ადვოკატმა მას ნაცნობი აუდიტორისგან მომსახურების მიღება ურჩია. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი თავადაც დაუკავშირდა აუდიტორს და ანგარიშსწორების წესის შესახებ მოელაპარაკა, კერძოდ, ისინი ადვოკატისთვის დასკვნის გადაცემის შემდეგ თანხის გადახდაზე შეთანხმდნენ. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი და აუდიტორი ერთად იმყოფებოდნენ სახლის შესაფასებლად, რის შემდეგაც იგი ადვოკატთან დაკავშირებას ვეღარ ახერხებდა, იგი ადვოკატის მეუღლეს გაესაუბრა, რომლის განმარტებითაც, კონტაქტის გაწყვეტის მიზეზი ადვოკატის დაკავებული გრაფიკი იყო მისი პოლიტიკური საქმიანობის გამო. საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმის წარმოების გაგრძელება ვერ მოხერხდა არა იმ მიზეზით, რომ იგი არ უხდის აუდიტორს თანხას, როგორც ამას ადვოკატი განმარტავს, არამედ ის, რომ ადვოკატთან დაკავშირება ვერ მოხერხდა ვერც მისი და ვერც აუდიტორის მხრიდან. მისი თქმით, მან ადვოკატს საქმისთვის საჭირო ყველა საბუთი გადასცა, ადვოკატმა კი სასამართლოში აუდიტის მიერ მომზადებული დასკვნა არ წარმოადგინა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატს მისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია სახელმწიფო ბაჟის ოდენობასთან და სარჩელის წარმოებაზე უარის თქმის მიზეზთან დაკავშირებით. იგი ადვოკატს ნდობის, კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების, ასევე კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევაში ადანაშაულებს. საჩივრის ავტორის საპირისპიროდ, ადვოკატმა განაცხადა, რომ მან საჩივრის ავტორს სარჩელის წარმოებაში არ მიღების მიზეზის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ასევე გადასცა ექსპერტის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჩივრის ავტორი და ექსპერტი შეთანხმებულიყო მომსახურების საფასურთან დაკავშირებით. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კლიენტმა არ გადაიხადა აუდიტის დასკვნის თანხა, რაც მას საქმის წარმოების გაგრძელებაში აბრკოლებს. ადვოკატის განცხადებით, ექსპერტისთვის გადაუხდებლობის მიზეზი საჩივრის ავტორის ფინანსური პრობლემებია, თუმცა კლიენტს ჰქონდა სრული ინფორმაცია აუდიტის დასკვნის საფასურის თაობაზე. ადვოკატმა მტკიცებულების სახით ნოტარიულად დამოწმებული განმარტება წარმოადგინა, სადაც აუდიტორი აღნიშნავს, რომ „მომსახურების თანხა არ არის ჩარიცხული, რის გამოც დასკვნა არ არის გაცემული“.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების სტანდარტებით. ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს დროული და სრული ინფორმაცია საქმის ყველა გარემოებისა და მიმდინარეობის შესახებ, შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტის საქმის მსვლელობის პროცესში ჩართულობას.

<sup>1</sup> გადაწყვეტილება 036/14, თარიღი 10.04.2014, <https://gba.ge/pdf/5c506a3ce3c6f.pdf/5c506a3ce3c6f.pdf>

ადვოკატმა ეთიკის ფარგლებში უნდა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი თავისი კლიენტის ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიისთვის დასაბუთებული ვარაუდის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად საჩივრის ავტორმა არ წარადგინა მტკიცებულება ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის თაობაზე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა განახორციელა რიგი ქმედებები თავისი კლიენტის სასამართლოში წარმომადგენლობისთვის, კერძოდ, მან სარჩელით მიმართა სასამართლოს საჩივრის ავტორის ინტერესების დასაცავად, აცნობდა საქმის ვითარებას, დაუკავშირდა აუდიტორს და მასთან ერთად სოფელ გორდში იმყოფებოდა საცხოვრებელი სახლის ღირებულების შესაფასებლად. ეთიკის კომისიის განცხადებით, აუდიტორის დასკვნის გამოუცემლობის საკითხი სადავოა, რადგან საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა აღნიშნული საკითხი განსხვავებული მიზეზებით დაასაბუთეს. ერთი მხრივ, საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ქალიშვილი პირადად ესაუბრა აუდიტორს ტელეფონით, რომელმაც აღნიშნა, რომ ადვოკატს ვერ უკავშირდებოდა, რათა საბოლოო სახე მიეცა წერილობითი დასკვნისთვის. მეორე მხრივ, ადვოკატი განმარტავს, რომ აუდიტის დასკვნის მომზადება ვერ ხერხდებოდა არა მისი, არამედ კლიენტის ბრალით, რომელიც ექსპერტს თანხას არ უხდიდა. ადვოკატმა საკუთარი პოზიცია ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტებით დაასაბუთა, სადაც მითითებულია, რომ დასკვნა გაუცემლობა დაკავშირებულია აუდიტორის საფასურის გადაუხდელობით. ეთიკის კომისია დაეყრდნო ადვოკატის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას და საჩივრის ავტორის განმარტებას იმის შესახებ, რომ იგი აუდიტორს აუდიტის დასკვნის საფასურის გადახდაზე შეუთანხმდა. შესაბამისად, ეთიკის კომისიის დასკვნით, ადვოკატმა შეძლო თავისი პოზიციის შესაბამისი მტკიცებულებით დასაბუთება და არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

## **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ გამოიტანა დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.